



# ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1692  
19/09/2018

ქალაქი ბათუმი

1692-05-4-201809191621



**არჩილ მხეიძეზე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - მასმედიასა და დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების II რანგის II კატეგორიის უფროსზე მიმდინარე წლის ანაზღაურებადი შვებულებიდან 10 სამუშაო დღის მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ - საქართველოს კანონის 62-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-3 პუნქტებისა და არჩილ მხეიძის 2018 წლის 14 სექტემბრის №2677-05 განცხადების შესაბამისად **ვბრძანებ:**

1. არჩილ მხეიძეს – ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - მასმედიასა და დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების II რანგის II კატეგორიის უფროსს, მიეცეს მიმდინარე წლის ანაზღაურებადი შვებულებიდან 10 სამუშაო დღე, 2018 წლის 17 სექტემბრიდან 28 სექტემბრის ჩათვლით.

2. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა (ტ. ნაკაშიძე) უზრუნველყოს სამშვებულებო თანხის (ავანსის სახით) ანაზღაურება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. ბრძანების გაცნობა დაინტერესებულ პირზე დაევალოს მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი  
ხელმძღვანელობა